№ 212

შაბათი, 30 სექტემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 212

შაბათი, 30 სექტემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## ქართველ ქალთა
## სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიით და ნაჭრობით.

(50—6.—29) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

მსურს ვიყიდო კავკასიაში

## სოფლის ამული

ადრესი: ქუთაისი. ბალახვანის ქ., სარდიონ ალფეზის ძეს ყანჩაველს.

(3—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბებთაბებოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში, ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებული სხდომა მოხდა, რომელზედაც განხილულ იქმნა ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა განცხადება ამ გზის ბელგიის უსახელო საზოგადოებაზედ გადაცემის შესახებ; კრებამ დაადგინა, მოსთხოვონ აღნიშნულ კონცესიონერთ დაწვრილებითი ცნობები, თუ რა პირობებით უნდათ გადასცენ ეს გზა ბელგიის უსახელო საზოგადოებას და ამასთანავე უჩვენონ დაახლოვებით, რამდენი ექმნება ქალაქს შემოსავალი ამ გზისაგან უსახელო საზოგადოებაზე გადაცემის შემდეგ.

*** როგორც შევიტყეთ, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველად მთავრობას დაუნიშნავს ფინანსთა სამინისტროს საქმის მწარმოებელი ბ-ნი შულგინი.

*** ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობას უთხოვნია სახალხო სკოლების ინსპექტორისათვის, ნება დაერთოს ამ გამგეობას დააარსოს უფასო სკოლა ავლაბრის საქალებო სასწავლებელში იმ ბავშვთათვის, რომელნიც წელს სხვა-და-ხხვა მიზეზების გამო ქალაქის სკოლებში ვერ იქმნენ მიღებულნი. სწავლა ამ სკოლაში საღამოობით იქმნება. სახალხო სკოლების ინსპექტორი უკვე შეეკითხა ქალაქის გამგეობას, იმის მხრივ ხომ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ იქმნება, დაერთოს აღნიშნულს საზოგადოებას ნება ახალის უფასო სკოლის გახსნისა.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ, კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლების დაარსების საქმეს ამ წელს თურმე ვერ განიხილვენ სახელმწიფო საბჭოში.

*** სამთო-მრეწველთა ხარკოვის კრებაზედ, რომელიც მალე მოხდება, სხვათა შორის, განიხილვენ თურმე იმ საკითხს, რომ სამთო მრეწველობისათვის საგანგებო კრედიტი იქმნას გახსნილი და დაარსდეს სპეციალური სამთო-სამრეწველო ბანკი. გარდა ამისა, კრება განიხილავს აგ-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

პირველი რკინის გზა.—სოფლელი მუშა ინგლისში.—სახალხო დასის წარმომადგენელთა კონგრესი.—თეატრი ჩინეთში.—ჩინელი დრამატიული ნაწარმოებნი.

ამ ენკენისთვის ცამეტში სწორედ 75 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც შესანიშნავმა სტეფენსონმა, ორთქლ-მავალის გამომგონმა, პირველი რკინის გზა გაიყვანა ინგლისში. ეს გზა ქალაქებს სტოკტონსა და დარლინგტონს შუა იქმნა გაყვანილი. პირველმა მატარებელმა ახალს გზაზედ სწორედ 13 სექტემბერს 1825 წელს გაიარა. რასაკვირველია, ეხლანდელსა და მაშინდელს მატარებელს შორის დიდი განსხვავებაა, ეხლა მატარებელი ბევრგან საათში 80—100 ვერსტს გადის, პირველმა მატარებელმა-კი 1825 წელს $8^1/_2$ ვერსტი ძლივს გაიარა, მაგრამ სტეფენსონის გამოგონებამ მაინც მთელი ინგლისი და იმასთან ერთად ევროპა აალაპარაკა. ეს გამოგონება თითქმის სასწაულად ჩასთვალეს. აუარებელი ხალხი იკრიბებოდა ლიანდაგზედ პირველის მატარებლის სანახავად. ევროპისა და ამერიკის ყველა კუთხიდგან სტეფენსონთან ინჟენერები და კაპიტალისტები მიდიოდნენ ორთქლ-მავალის საიდუმლოების გასაგებად და რკინის გზის დასათვალიერებლად.

„მთელ დედამიწის ზურგზედ, პოლიუსიდგან ეკვატორამდე და მალაკიდგან პანამამდე რომ განვლოთ,—სწერდა ერთის მაშინდელის გაზეთის გამომცემელი პირველის რკინის გზის შესახებ,—ასეთ რამეს ვერსად ვერა ჰნახავთ. შეუძლებელია იმის აღწერა, რასაც კაცი ამ ახალ გზაზედ მოგზაურობის დროსა ჰგრძნობს და რასაც გარშემო ჰხედავს. ეს ახალი გამოგონება უფრო მეტად ამტკიცებს კაცის ჰენიოსობის სიდიადეს, ვიდრე შესანიშნავის მხატვარის, პოეტის ან ფილოსოფოსის ნაწარმოებნი".

75 წელიწადმა განვლო მხოლოდ მას შემდეგ და ეხლა მიყრუებულ და მივარდნილ ადგილებშიაც კი შეხვდებით რკინის გზებს. მარტო ინგლისმა 75 წლის განმავლობაში რკინის გზების გაყვანას 12 მილიარდი 750 მილიონი მანეთი მოანდომა. ლიანდაგთა სიგრძე 1899 წელს ინგლისში 35,000 ვერსტს უდრიდა. ამავე წელს რკინის გზებს გადაუზიდნიათ 1 მილიარდი 100 მილიონი მგზავრი და 25 მილიარდ ფუთზედ მეტი საქონელი. რკინის გზების წყალობით 75 წლის განმავლობაში ვაჭრობა ერთი ასად მეტად გაძლიერდა.

რკინის გზების გაძლიერებასა და გავრცელებასთან ერთად უმჯობესდებოდა ამ გზებზედ მოსამსახურეთა მდგომარეობაც. რასაკვირველია პირველ ხანს მოსამსახურეთა რიცხვი მეტად მცირე იყო და სასყიდელიც მათ უმნიშვნელო ეძლეოდათ. დღეს ინგლისის რკინის გზებზედ ნახევარი მილიონი კაცი მსახურებს. სულ 15 უმთავრესი რკინის გზაა ინგლისში. 1898 წელს ამ 15 გზაზედ მოსამსახურეთ და მუშებს 221,140,000 მანეთი ჯამაგირი მიეცათ.

***

ინგლისში შედარებით კარგი სასყიდელი ეძლევათ არა მარტო რკინის გზისა და ქარხნის, სოფლის მუშებსაც-კი. სოფლის მუშას ფერმერი ერთის ან ნახევარის წლით იჭერს. ეს მუშა ისეთივე ბოგანო და უმიწა-ადგილოა, როგორც ქარხნის მუშა. უცოლ-შვილო, მარტოხელა მუშა თვით ფერმერის სახლში სცხოვრობს, ხოლო ცოლ-შვილიანს თითქმის ყოველთვის ეძლევა ცალკე სადგომი ანუ კოტეჯი, როგორც იქ ეძახიან. სადილ ვახშამსაც უცოლ-შვილოს და ზოგგან ოჯახის პატრონსაც ფერმერი აძლევს.

დღეში მუშას იქ ხუთჯერ ეძლევა საჭმელი: დილით ორი საუზმე, შემდეგ სადილი, მუშაობის გათავებისას ჩაი და ბოლოს ვახშამი. სადილად მუშას ეძლევა ძროხის ან ცხვრის ხორცი წვნიანი და უწვნო, ვახშმად ცივი ხორცი ან ერბო-კვერცხი ლორით; საუზმეებზედ—ქაშა (porsidge), რძე, ჩაი ან ყავა, კარაქი არ ყველი, ამას გარდა ზოგჯერ ლორი ან კართოფილის ქადა. სხვა სოფლის მუშებთან შედარებით უფრო კარგ სასყიდელს მწყემსები იღებენ. ფერმის მუშათა შორის ცხვრის მწყემსნი არისტოკრატიას შეადგენენ. არა ერთ მწყემს შეჰხვდებით იქ, რომელსაც წელიწადში 600—650 მანეთი აქვს ჯამაგირი, ე. ი. იმდენი, რამდენიც ჩვენში კანცელარიის საშუალო მოხელესა აქვს.

ამას წინად ინგლისის მთავრობას საყურადღებო წიგნი გამოუცია სოფლის მუშათა მდგომარეობის შესახებ. წიგნში აუარებელი ცნობებია მოთავსებული იმისა, თუ ინგლისის სხვა-და-სხვა ადგილას რა სასყიდელი ეძლევათ სოფლის მუშებს. აი ამ წიგნიდგან რა ცნობებს გადმოგვცემენ გაზეთები. 1898 წელს ნორტომბერლენდში სოფლის მუშამ მიიღო 350 მანეთი ნაღდ ფულად და ერთი ტონნი (ტონნი 60 ფუთამდეა) ქვანახშირი. ამას გარდა მუშასა ჰქონდა ცალკე კოტეჯი, ბოსტანი და კარტოფილის დასათესად მიწის ნაჭერი, ფერმერის ხარჯით სასუქ დაყრილი და დამუშავებული. იორკშირში მუშამ მიიღო 370 მანეთი ფულად, სადგომი ბოსტნით, ქვა-ნახშირი და რძე. უფრო სამხრეთით, კემბრიჯის საგრაფოში,—390 მანეთი დასადგომი; სუფფოკში, სადაც ყველაზედ ნაკლები სასყიდელი ეძლევა სოფლის მუშას,—მხოლოდ 340 მანეთი.

დედაკაცმა კარგა ხანია ინგლისში სოფლის სამუშაოზედ ხელი აიღო. დედაკაცს ფერმერები ათასში ერთხელ ქირაობენ ხოლმე, ისიც მერძევეებად და ყვავილების მოსავლელად.

გაცილებით მეტი სასყიდელი ექმნებოდათ სოფლის მუშებს, რომ იმათაც ისეთივე ერთობა, კავშირები და ამხანაგობანი ჰქონდეთ, როგორიც ქალაქის მუშებსა აქვთ. ამ ბოლოს დროს აქა-იქ ევროპაში სოფლის მუშებიც შეუდგნენ კავშირების დაარსებას, მაგრამ ამ საქმეში დიდი მეცადინეობა და შრომა ჰმართებთ, რომ ქალაქის მუშებს გაუთანასწორდნენ. დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში ქალაქის მუშებს საკუთარი დასი აქვთ და ამ დასთა წარმომადგენელნი ბევრს მეცადინეობენ და სცდილობენ პარლამენტში მუშათა სასარგებლოდ.

რეთვე, თუ როგორ უნდა იზრუნონ სამთო მუშათათვის და რა ღონისძიებანი მიიღონ, რომ რაც შეიძლება ბლომად დააარსონ საშუალო და დაბალი სამთო-სატეხნიკო სასწავლებლები.

⁂ საქციზო უწყებაში ინსპექტორის ახალი თანამდებობა თურმე არსდება, რომელმაც სასმელების სახაზინო დუქნებსა, ტრაქტირებსა, ლუდხანებსა და სასმელების სარდაფებს უნდა ადევნოს თვალ-ყური. ინსპექტორი ამავე დროს ოლქებისა და მათ ხელქვეით მოხელეთა უფროსიც იქნებაო.

⁂ რკინის გზის უფროსთა და რკინის გზის გამგეთა უკანასკნელმა კრებამ, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, გარდასწყვიტა, რომ რკინის გზის მსახურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯამაგირები მოუმატოს. როგორც ეხლა სწერს გაზ. „Бирж. Вѣд.“-ი, კრებას გარდაუწყვეტია სამის წლის განმავლობაში 5% მოუმატოს ჯამაგირები, ხოლო ხუთის წლის განმავლობაში 10%. ეს საგანი სულ მალე უმაღლესს მთავრობას წარედგინება განსახილველადაო.

⁂ 1901 წლის დასაწყისში წყლით მგზავრობის მოღვაწეთა კრება მოხდება. მომავალ კრების პროექტი ამორჩეულს კომიტეტს უკვე შეუდგენია და შეიცავს თურმე 12 დიდად საყურადღებო კითხვას წყლით მოგზაურობისა და ნავთ-სადგურების საჭიროებათა შესახებ.

⁂ 1872 წლის დებულებით განზრახული ჰქონდათ ქალაქის სასწავლებლებთანა, დედათა გიმნაზიებთანა და პროგიმნაზიებთან მასწავლებელ კაცთა და ქალთათვის საპედაგოგო კურსები დაეარსებინათ. საერო განათლების სამინისტროს ამ ჟამად უკვე შეუმუშავებია ის წესები, რომლითაც აღნიშნულ კურსებზედ მიღებისა და მეცადინეობის დროს უნდა იხელმძღვანელონ. ამ კურსებზედ სამინისტროს მიერ შემუშავებულ წესებით მიიღებენ ახალგაზდებს არა ნაკლებ 16 წლისასა და ქალებს არა ნაკლებ 15 წლისას, რომელთაც ან ქალაქის სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ დასრულებული, ან-და დედათა გიმნაზიის 3 კლასის კურსი გავლილი. კურსებზედ დაჰყოფენ სულ ერთს წელიწადსა და ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკულად მოემზადებიან სამასწავლებლოდ. კურსებზედ ხელმძღვანელობა მინდობილი ექნებათ სახალხო სკოლების ინსპექტორებსა და დირექტორებს.

⁂ სოფლის მეურნეობის ეკონომიისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი ბ-ნი ტიმირიაზევი ბაქოში წავიდა. ტიმირიაზევი ბაქოდგან დაბრუნების შემდეგ ბათუმისა და ქუთაისის ნახვასაც აპირებს.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი თურმეა აღძრული, რომ პეტერბურგში სარძეო მეურნეობის ინსტიტუტი დააარსონ იმავე ტიპისა, როგორებიც ფინლიანდიაში არსებობს.

⁂ ამ შვიდი თვის განმავლობაში ბაქოს მიდამოებში 339,692 ათასი ფუთი ნავთი ამოუღიათ, ე. ი. 29,601 ათასი ფუთი მეტი, ვიდრე შარშან.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ექსტერნებს, რომლებიც გიმნაზიის რომელსამე კლასში იჭერენ ეგზამენს გაზაფხულზედ, ნება აღარა აქვთ შემოდგომაზედაც დაიჭირონ ეგზამენიო.

⁂ რუსეთის ცნობილი მწერალი-ქალი ო. ნ. ჩუმინასი ამ ჟამად ავად თურმეა.

⁂ ქალაქის ინჟინერის თავისუფალს ადგილზედ ტ. ა. ენფიანჯიანცს თურმე იწვევენ, რომელიც მთელი ექვსი წელიწადი იყო წინადაც ქალაქის ინჟინერად.

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ასარჩევად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება იქმნეს მოწვეული 7 ოქტომბრისათვის. თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, გარდა ამისა, რამდენსამე სხვა კითხვასაც განიხილავს.

⁂ კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი ბ-ნი შოსტაკი გუშინ წინ დაბრუნდა ტფილისში.

⁂ სადგურ მცხეთასა და წილკანში საეტაპო სახლები გაუხსნიათ.

⁂ ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია, რომ ტფილისის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წესდების მე 17 მუხლი შევსებულ იქმნეს ამ ნაირად: „§ 17. ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებას ნება ეძლევა მხოლოდ შემდეგის ოპერაციებისა: (მუხლი 12) საზოგადოების წევრებს აძლიოს სესხი სოლო ვექსილით (ე. ი. ვექსილზედ მხოლოდ ერთს ჰქონდეს ხელი მოწერილი), რომელიც მისს საკუთარ მამულის გირაოთი უნდა იყოს უზრუნველ-ყოფილი, თანახმად 1898 წ. 11 მაისს კანონით დამტკიცებულ განსაკუთრებულ წესებისა“.

⁂ ბორჩალოს მაზრის სოფ. ეკატერინენფელდის მცხოვრებთა შორის მუცლის სახადი და დიზენტერია გაჩენილა.

## „ტფილისის ფურცელი“ და მისი რეპორტიორი ა. წინამძღვრიშვილი

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორი ბ-ნი ხუხატუროვი იმ ვაჟბატონების დასს ეკუთვნის, რომელთაც ჩვენი არაფერი არ ეპიტნავებათ, რაც უნდა კარგი და სასარგებლო იყოს. მაგრამ სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თვით ჩვენს შორის სჩნდებიან ისეთნი, რომლებიც ხელს უწყობენ მათ, მასალას უმზადებენ და ამ მასალას განზრახ მოკონილის ცრუ ამბებით აზავებენ ხოლმე. ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, რა სახელი უნდა ვუწოდოთ ქართველის კაცის ასეთს მოქმედებას და ან კი დევ რით არის გამოწვეული ასეთი საქციელი.

იმ დროს, როცა ჩვენმა სათავად-აზნაურო სკოლამ დასძლია ყოველგვარი დაბრკოლება და ფეხზედ დადგა, როცა იგი მოსამზადებელ კლასებთაგან სრულ გიმნაზიად იქცა და საზოგადოებაშიაც მოიპოვა სრული თანაგრძნობა, რაიცა ცხადად მტკიცდება იმ უხვის შემოწირულობით, რომელიც აღმოუჩინეს მას ზოგიერთებმა საკუთარის ბინის შესაძენად, კიდევ მოიპოვებიან, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ შორის ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც სცდილობენ ყოველგვარი ჭორი შეთხზან და გაავრცელონ, რომ ამით ხელი შეუშალონ ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს!

წარსულ წელს, მაგ., „ტფილისის ფურცლის“ რედაქციამ დასტამბა ერთი წერილი, რომელშიაც იყო გამოქვეყნებული, ვითომც, სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის ერთმა წევრმა შეიძინა ამ სკოლის მასწავლებლებისთვის ადგილი, დაიმტკიცა თავისს სახელზედ და აღარ უნდოდა ჩაებარებინა პატრონებისთვის ის ადგილი. ხოლო ეს ცოცხალი ტყუილი გახლდათ, რადგანაც იმ კაცს, რომელსაც ამ ცილს სწამებდნენ, სიკეთის მეტი არა უქმნია ხსენებულ მასწავლებლებისათვის. საქმე აი როგორ გახლდათ.

როცა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტმა შეიძინა ამ სკოლისთვის საკუთარი ადგილი, თან მასწავლებლებისთვისაც იყიდა ორი დესეტინა ადგილი, საქენი, ვგონებ, ორ მანეთად, იმ პირობით, რომ რომელისა მასწავლებელიც-კი ისურვებდა, შეეძლო მოეპოვა ნაწილი ამ ადგილისა იმავე ფასად. მაგრამ რადგანაც ყიდვის დროს ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული, რომელ მასწავლებელს ჰსურდა ადგილის შეძენა და ანუ რამოდენისა, ამ-ტომ მასწავლებლების ადგილი კომიტეტის ერთი წევრის სახელზედ იყო დამტკიცებული. ამით მასწავლებლებს სარგებლობის მეტი არავითარი ზარალი არ უნახავთ, რადგან შეძენა და დამტკიცებაც ბევრად უფრო იაფად დაუჯდათ. შემდეგ, როცა კომიტეტმა გამყიდველისაგან ადგილი ჩაიბარა და გამოირკვა კიდეც, რომელ მასწავლებელს ჰსურდა ადგილის შეძენა და რამდენისა, თითოეულმა ჩაიბარა თავისი ნაწილი. ის ადგილი დღეს ერთი-ორად მაინც ფასობს.

აქედგან ყოველი მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ იმ წევრს კომიტეტისას, რომელზედაც ზემოთ მოხსენებული იყო, არა თუ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლების წინაშე და, მაშასადამე, არც არავითარი საყვედური არ ეკუთვნის, არამედ, პირიქით, დიდი სიკეთე უყო მათ და მადლობის ღირსიც არის. მაშ ეხლა ვიკითხოთ, რისთვის დაისტამბა „ტფილისის ფურცელში“ ასეთი უმსგავსი ტყუილი და ცილის-წამება? — ჩვენ, სწორედ მოგახსენოთ, ვერ მივმხვდარვართ!

ეხლა იმავე „ტფილისის ფურცელში“ დაიბეჭდა მეორე წერილი ვიღაცა ა. წინამძღვრიშვილისა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის მოქმედების შესახებ, კიდევ უფრო მოჭორილი და ტყუილით სავსე. ამ წერილის ავტორი, ა. წინამძღვრიშვილი გვიმტკიცებს, რომ ვითომც, სკოლის კომიტეტს შეეძინოს და მოემზადებინოს სკოლის შენობისათვის ვერაზედ აუარებელი მასალა, დიდი ფულიც დაეხარჯოს და ეხლა ეს მასალა ტყუილად ფუჭდებოდეს უთვალ-ყუროდ.

---

⁂

ამას წინად პარიჟში მუშათა დასის ან სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლების საერთაშორისო კონგრესიც-კი მოხდა. კონგრესს 1000 წარმომადგენელზედ მეტი დაესწრო საფრანგეთიდგან, გერმანიიდგან, ინგლისიდგან, ბელგიიდგან, იტალიიდგან, ავსტრიიდგან, ამერიკიდგან. იყვნენ კონგრესზედ მუშათა დასების უმთავრესნი მეთაურნი და წინამძღოლნი, როგორც, მაგალითად, ჟორესი, გედი, ვალიანი, ზინგერი, კაუტსკი, ალლემანი, დავიდი, ვანდერველდე, ენრიკო ფერრი, ანდრეა კოსტა, ანსელი, ვან კოლი და სხვანი. მარტო ამათი სახელები საკმაო იყო, რომ კონგრესს საზოგადოების ყურადღება მიექცია.

კონგრესმა მრავალი საყურადღებო საგანი განიხილა. შეეხო იგი დღიურ სამუშაო საათების შემცირებას, მუშათა სადგომების გაუმჯობესებას, მუშათა შორის სწავლა-განათლების გავრცელებას და მრავალ სხვა საგანს. მაგრამ კონგრესი მაინც იმდენად ნაყოფიერი ვერ იყო, რამდენადაც ჰფიქრობდნენ. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ კონგრესმა მეტად დიდი დრო მოანდომა საფრანგეთის სოციალ-დემოკრატთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას.

შარშან, კაბინეტის შედგენის დროს, აწინდელმა მინისტრ-პრეზიდენტმა ვალდეკ-რუსსომ საზოგადო სამუშაოთა მინისტრად დეპუტატი მილიერანი მიიწვია, მუშათა დასის ერთი თვალსაჩინო მეთაური. მილიერანი სიხარულით მიეგება რუსსოს წინადადებას. იგი დღესაც მინისტრია და მოწინააღმდეგე დასის მომხრენიც-კი ჰმოწმობენ იმის ნაყოფიერ მოქმედებას მინისტრის ასპარეზზედ. ამ გარემოებამ, ე. ი. მილიერანის მინისტრად შესვლამ მუშათა მთელი დასი ორ ბანაკად გაჰყო. ერთმა, გედისა და ლაფარგის მეთაურობით, გაჰკიცხა მილიერანი და განაცხადა, სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელს ბურჟუაზიულ სამინისტროში ადგილი არა აქვს, საზოგადოდ, მუშათა დასი არაფრის გულისათვის არ უნდა დაუკავშირდეს ბურჟუაზიულ სამინისტროსაო. მეორემ, ჟორესის მეთაურობით, პირიქით მხარი დაუჭირა მილიერანს. ამას გარდა გედისა და ლაფარგის მომხრენი თვით ჟორესსაც ემდურებიან. მკითხველებს ეხსომებათ, უთუოდ, „ივერიის“ კორესპონდენციებიდგან, ჟორესმა რა მხურვალე მონაწილეობა მიიღო დრეიფუსის საქმეში. იგი თავ-გამოდებით იცავდა „ეშმაკის კუნძულის პატიმარს“. არც ეს მოეწონათ გედისტებს, დრეიფუსის საქმეში მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესები იყო ჩახლართული და მუშათა დასის წარმომადგენელს არ შეჰფეროდა ამ საქმეში ჩარევაო, ამბობენ ისინი.

მას შემდეგ ამ ორ ბანაკის შერიგება შეუძლებელი შეიქმნა. ორივენი მოუთმენლად მოელოდნენ კონგრესს, უნდოდათ გაეგოთ, სხვა ერთა წარმომადგენელნი ვის დაუჭერდნენ მხარს და ვის გაამართლებდნენ. განსაკუთრებით დიდი იმედი კონგრესისა გედისტებსა ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ. უმრავლესობამ უფრო ჟორესისა და მილიერანის მხარი დაიჭირა. ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ კონგრესმა, კაუტსკის წინადადებით, თუმცა სასურველად არა სცნო ბურჟუაზიულ სამინისტროში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მაინც შესაძლებლად დაინახა ასეთი მონაწილეობა ზოგიერთ შემთხვევაში, ისეთში, როგორიც, მაგალითად, საფრანგეთში იყო, როდესაც რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას განსაცდელი მოელოდდა.

⁂

ჩინეთისა და ჩინელების შესახებ არა ერთხელა გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ იძულებული ვართ კიდევ დაუბრუნდეთ ამ შორეულ სახელმწიფოს მკვიდრთ, რადგანაც იმათი ცხოვრება, ზნე ხასიათი, ჩვეულებანი იმდენს განსაკუთრებულს თვისებას შეიცავენ, რომ ყველა ამის აღწერას მთელი ტომებიც-კი არ ეყოფა. ამ ფელეტონში მკითხველს ჩინეთის თეატრსა და ჩინელების დრამატიულ ხელოვნებას გავაცნობთ.

არსად დედამიწის ზურგზედ თეატრი ისე არ უყვართ, როგორც ჩინეთში. ჩინელებისათვის თეატრი უპირველესს გასართობს შეადგენს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისდა მიუხედავად, არტისტის ხელობა იქ სამარცხვინო პროფესიად ითვლება, ისე, როგორც ჯალათისა, დალაქისა და ორიოდე სხვათა ხელობა. არტისტის უფლებანი შეზღუდულია, არ შეუძლიან, მაგალითად, არტისტს სახელმწიფო სამსახურში შესვლა და სხვ. არტისტს ჩინელი ცუდის თვალით უყურებს და არასოდეს იმასთან საქმეს არ დაიჭერს. ასეთ ამბავსაც მოგვითხრობენ. ერთხელ იმპერატორს ისე მოსწონებია ერთის არტისტის თამაშობა, რომ ცრემლიც-კი მოჰრევია. მინისტრს მაშინვე ბრძანება გაუცია, ოცი როზგით „დაეჯილდოვებინათ“ არტისტი იმპერატორის აღელვებისათვისაო.

განსაკუთრებულ შენობას წარმოდგენებისათვის დიდ ქალაქებში თუ შეჰხვდება კაცი. სხვაგან ამისთვის უბრალო ფარდულებს გამართვენ ხოლმე. ამასთან მცხოვრებნი, განსაკუთრებით სოფლებში, არტისტებს არც-კი აცლიან და თვით ჰმართავენ ფარდულს. ბევრგან თეატრისათვის სულაც არა ჰზრუნავენ და წარმოდგენებს დასი პირდაპირ მოედანსა ან ქუჩაზედ ადგენს ცის ქვეშ.

არტისტთა დასებს თითქმის ყველგან შეჰხვდება კაცი. მაგრამ ეს დასები ერთ ადგილას ორ-სამ დღესაც არა რჩებიან და ერთის ქალაქიდგან ან სოფლიდგან მეორე ქალაქსა და სოფელში გადადიან. ხშირად კერძო კაციც მიიწვევს ხოლმე დასს წარმოდგენებისათვის. მაგალითად, სოფლის მდიდარი ვაჭარი, რომელსაც წლის განმავლობაში კარგი ვაჭრობა ჰქონდა, წლის გასულს უეჭველად მიიწვევს დასს. წარმოდგენები ამ ვაჭრის ხარჯით იმართება და ყველანი უსასყიდლოდ ერთობიან. ასევე იქცევა შეძლებული სოფლელი ქორწილისა და კარგის მოსავლის დროს.

ჩინეთის თეატრს არავითარი მოწყობილება და დეკორაციები არა აქვს. არც ფარდა იციან იქ. თუმცა მოქმედებანი ერთსა და იმავე პიესაში ხშირად ქალაქსა, სოფელსა, მინდორსა და ტყეში სწარმოებს, მაგრამ ჩინელისთვის განსაკუთრებული მოწყობილება ამ სხვა-და-სხვა სურათის საჩვენებლად საჭირო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ არ ვიცნობთ ამ ვაჟბატონს, რომელიც ასეთ მოჭორილ ამბებს აწვდის ჩვენს მოკეთე რედაქციას, მაგრამ ის-კი დარწმუნებით ვიცით, რომ მისს წერილში ერთი სიტყვაც მართალი არ არის.

სათავად-აზნაურო სკოლის მომავალ შენობას ჰყავს არჩეული და დანიშნული საკუთარი ხუროთ-მოძღვარი, რომელიც დღეს იქვე სცხოვრობს, სადაც შენობა უნდა აიგოს, და რომელსაც, როგორც სპეციალისტს, უეჭველია. ა. წინამძღვარიშვილზედ ბევრად უფრო კარგად უნდა ესმოდეს ეს საქმე. მეორე,—ამ შენობის საქმეს თვალ-ყურს ადევნებს, კომიტეტის წევრების გარდა, საკუთარი არჩეული კომისია, რომელიც შესდგება ამგვარ საქმეში გამოცდილ კაცთაგან; მესამე,—კვირა ისე არ გაივლის, რომ შენობის საქმის მდგომარეობა არ ინახულონ და არ დაათვალიერონ ბევრმა, კომიტეტისა და კომისიისაგან მიწვეულებმა, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ, უკეთუ რაიმე ნაკლულევანება შეამჩნიეს, კეთილი რჩევა მისცენ, რადგანაც ამ საქმიაათვის ყველას გული შესტკივა. მაშ, როგორ მოხდა, რომ ა. წინამძღვარიშვილის გარდა, ვერავინ ვერ შენიშნა, უკეთუ მართლა სათავად-აზნაურო სკოლის შენობის მასალა ფუჭდება, ლპება, იშლება და ზოგიც ქარს მიაქვს?? ან კიდევ თავიანთი მტერნი ხომ არ არიან: ხუროთ-მოძღვარი, არჩეული კომისია და თვით კომიტეტის წევრები, რომ თითქო, განგებ თვალს არიდებდნენ თავიანთვის საინტერესო და სავალდებულო საქმეს და ბ-ნ ა. წინამძღვარიშვილს უცდიდნენ, დღე მობრძანდეს და საკიცხავი მასალა იპოვოსო. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ და ყველანი, ვისაც ეს საქმე მინდობილი აქვს, გიჟებად ჩავთვალოთ, სათავად აზნაურო სკოლის შენობის მასალა ცხრა მთას იქით ხომ არ არის, რომ ვერ წავიდეთ, ვერ ვნახოთ ჩვენის საკუთარის თვალით და ვერ შევამოწმოთ, რამდენად მართალი ბრძანდება ბ-ნი ა. წინამძღვარიშვილი? არა, ბატონებო, აქ ყველაფერია, მხოლოდ ჭეშმარიტება-კი არა.

ბ-ნი ა. წინამძღვარიშვილი იმასაც უსაყვედურებს თავისს წერილში, სხვათა შორის, სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს, რომ ჯერ შენობის გეგმა არა აქვსო, მაგრამ ესეც ნამდვილი ტყუილი გახლავთ. ხუროთ-მოძღვარმა და კომიტეტმა თავისს დროზედ შეიმუშავეს შენობის გეგმა, მერე მოიწვიეს საუკეთესო ტეხნიკოსები, ინჟენერები და ხუროთ მოძღვრები, გასინჯეს იგი და მოწონების შემდეგ, წარადგინეს დასამტკიცებლად. დღეს ეს გეგმა მოწონებული და დამტკიცებულია და მასში არავის არავითარი ცვლილება არ შეუტანია, და ამ მოკლე ხანში კიდეც შეუდგებიან შენობის აგებას.

აი, ბატონებო, ნამდვილი მდგომარეობა ამ საქმისა. ეხლა თქვენ თვითონ მიხვდებით, რამდენად მართალი ჰბრძანდება ბ-ნი ა. წინამძღვრიშვილი და, რაც გნებავთ, ის სახელი უწოდეთ მისს საქციელს.

გ. წყალტუბელი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** მკითხველებმა უკვე უწყიან დეპეშებიდგან, რომ 18 სექტემბერს, მოკავშირეთა ჯარის უფროსების მოთხოვნილებით, ჩინელებმა დაუთმეს მოკავშირეთ კარგად გამაგრებული ქალაქი შანჰაი-გუანი და თავიანთი ჯარი გაიყვანეს იქიდგან. შანჰაი-გუანი ლიაოდუნის უურეს იმ ადგილასა მდებარეობს, სადაც მანჯურიასა და ჩინეთის შუა გაგლებული დიდი გალავანი თავდება ზღვის მიახლოვებისას. ამ უზარ-მაზარ კედლის და ზღვას შუა ადგილია დატოვებული და ქალაქი სწორედ ამ ადგილზე არის გაშენებული. ამ ქალაქს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მდებარეობს ჩრდილოეთიდგან მიმავალ ერთად-ერთ კარგსა და მოხერხებულს გზაზედ, ამიტომ შანჰაი-გუანი უოველთვის კარგად იყო ხოლმე გამაგრებული. თვით ქალაქს მაღალი გალავანი არტყია, კოშკებითა და სიმაგრეებით მოწყობილი. მოკავშირეთ ძალიან უკვირთ, ჩინელებმა უომრად რად დაუთმეს ეს ქალაქი, მით უმეტეს, რომ იქ ჩინელებს კარგა ბლომად ჯარი ჰყავნდათ და იმის აღება არც ეგრე ადვილი იყო. მოკავშირეთა ჯარის უფროსებმა მხოლოდ ხანგრძლივის თათბირის შემდეგ გარდასწყვიტეს ამ ქალაქის აღება და წინდაწინვე მზადებას შეუდგნენ. ორ მიზეზს ასახელებენ იმისას, თუ ჩინელებმა რად დაუთმეს უომრად ქალაქი. პირველი ისაა, რომ შანჰაი-გუანში მყოფ ჯარის უფროსებს შორის ერთობა და თანხმობა არ არსებობდა, მეორე კიდევ—ჩინელები საკმაოდ დაშინდნენ და ვეღარ უბედავენ შებმას მოკავშირეთაო.

—როგორც ლონდონში მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ჩინეთის მთავრობის შორის ერთობა და თანხმობა არ არსებობს. ამ ჟამად მთავრობა ორ ბანაკად არის გაყოფილი. ერთი იმპერატორის მეთაურობით, მშვიდობიანობასა და ზავის ჩამოგდებას არის მოწადინებული, ხოლო მეორე, ქვრივის დედოფლის მეთაურობით,—წინააღმდეგია ამისა და ომის განგრძობას თხოულობს. ლიხუნგ-ჩანგს აზრადა აქვს თურმე გრაფ ვალდერზეესთან მოლაპარაკების შემდეგ იმპერატრიცასთან წავიდეს და როგორმე დაიყოლიოს ისიც ზავის ჩამოსაგდებად. როგორც შანჰაიში მყოფ საფრანგეთის ელჩს განუცხადებია, პეკინიდგან გაქცევის შემდეგ, ქალაქ ტუანგ შანგ-ფუზედ გავლის დროს, დედოფალს ბრძანება გაუცია, ამოსწყვიტონ ყველა ევროპიელნი. ამ ბრძანების აღსასრულებლად 115 საფრანგეთის ქვეშევრდომი მოუკლავთ.

—ბევრს დღესაც არა სჯერა, რომ ის დეპეშა, რომელიც ვილჰელმს ჩინეთის იმპერატორისაგან მოუვიდა, ნამდვილი ამ იმპერატორის გამოგზავნილი იყოს. „Voss Zeit.“-ი სწერს, მაგალითად: „უნდა ვიფიქროთ, რომ წერილზედ ან იმპერატორს ძალად მოაწერინეს ხელი, ან კიდევ იმპერატორის მაგიერ სხვა ვინმემ მოაწერა. ისიც შეიძლება, რომ ეს დეპეშა, რომელიც ასე ცუდად იხსენიებს ბოროტ-მოქმედებებს, თვით იმათ შეადგინეს, ვინც ეს ბოროტ-მოქმედებანი ჩაიდინა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ სიყალბის ჩამდენთ იმ დროს, რა დროსაც ვილჰელმს ბედიაში წერილი გამოუგზავნეს, სხვა წერილები კიდევ პროვინციებში მოხელეებს გაუგზავნეს, რომლებშიაც ევროპიელთა ამოწყვეტასა და ამოჟლეტას ურჩევენ“.

—ამურის ოლქში მრავალი ჩინელი სცხოვრობდა. ბევრი მათგანი მეურნეობას მისდევდა. ჩინეთთან ომის ატეხის დროს ამ ჩინელებმა თავი მიანებეს თავიანთ სახლებს, დამუშავებულ და დათესილ მინდვრებს, მშვენიერ ბაღებსა და ბოსტნებს და ჩინეთში გადაიხიზნენ. ჩინელებს 15,000 დესეტინა მარტო პურით დათესილი მინდვრები დარჩათ. რადგანაც ყანების პატრონნი ჯერაც არ დაბრუნებულან და პურის მოკრების დრო-კი დიდი ხანია დადგა, ამურის ოლქის გენერალ-გუბერნატორს ბრძანება გაუცია, რომლითაც იწვევს ყველას, ვისაც ამ ყანებისა და ბოსტნების მოსავლის მოკრეფა სურს. ამასთან მოსავლის ერთი ნახევარი ხაზინას გადაეცემა, მეორე ნახევარს-კი თვით დამმუშავებელი წაიღებს.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** უსიამოვნო ამბები ინგლისელებს ჯერ კიდევ მოსდით სამხრეთ-აფრიკიდგან, თუმცა მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ ომი დასრულდაო. ერთ ასეთ ამბავს დღევანდელი დეპეშაც იუწყება. ბურებს ერთხელ კიდევ უწყევლინებიათ თავ-ბედი ინგლისელებისათვის. მაგრამ რადა ერთხელ, ამ ორ-სამ კვირაში ასეთი ამბავი რამდენჯერმე მომხდარა. როგორც თვით რობერტსი იუწყება, 18 სექტემბერს, მაგალითად, დეჟაგერსდროფტის მახლობლად ბურები თავს დასხმიან ინგლისის ჯარის სურსათის ვაგონებს და მრავალი სურსათი წაურთმევიათ. მეორედ გეკტორსპრიტის მახლობლად დასცემიან რკინის გზას. მოუკლავთ იქ ერთი ინგლისელი ჯარის-კაცი და ერთიც დაუჭრიათ; მესამედაც—ბემის სადგურის მახლობლად. აქ მატარებელი ლიანდაგიდგან გადმოუგდიათ, ხუთი ჯარის-კაცი მოუკლავთ, ერთი აფიცერი და 17 ჯარის-კაცი კიდევ მძიმედ დაუჭრიათ. რუსტენბურგის მახლობლად ბურები თავს დასცემიან ინგლისელთა რაზმს, რომელიც ტელეგრაფს ჰმართავდა. ორი ინგლისელი მოუკლავთ ბურებს. მრავალი სხვა ასეთი ამბები ხდება სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ ინგლისელი გენერლები არჩევანების გამო ამების შესახებ არაფერს იუწყებიან.

## თეატრის მატიანე

რუსული სახალხო წარმოდგენა.

სამშაბათს, 26 სექტემბერს, და ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, შემთხვევით დავესწარით ავჭალის ქუჩაზედ სახალხო წარმოდგენას, რუსულ ენაზედ გამართულს. არდგენდნენ ნ. ჩაევის ისტორიულ ხუთ-სურათიანს დრამას: „სიდედრი“ („свекровь“). გაგვიოცა, პიესამ ისე მწყობრად ჩაიარა, ისე მშვენივრად მომზადებულიყვნენ ეს უანგარო მუშაკნი, რომელთა უმრავლესობა სცენის მოყვარენი არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან კნეინა ტასის როლის აღმასრულებელი ქ-ნი მ. ფ. დონსკაია, კნეინა ვერას როლისა—ქ-ნი ე. დ. ჭესონიცკაია, რომელსაც ეტყობა, რომ დახელოვნებული და სცენას ჩვეული არტისტი უნდა იყოს, და ქ-ნი ფ. გ. ვიქტოროვისა. საერთოდ პიესამ საუცხოო ანსამბლით ჩაიარა და თუ ილიუზიას ახდენდა რამე, ისევ ღარიბი მოწყობილება სცენისა, მისი პიესის შინაარსის შესაფერად მორთულობა. წარმოდგენა საღამოს 10 საათზედ და-

ჩინელი ადვილად წარმოიდგენს, სად არის მოქმედება: მანდარინის სასახლეში თუ უბრალო მუშის ქოხში. ეს კია, წარმოდგენის დაწყობამდე ერთ-ერთი არტისტი მოკლედ უამბობს საზოგადოებას პიესის შინაარსს. სხვაფრივადაც არ დაგიდევენ არტისტები სინამდვილეს. ვთქვათ წარმოსადგენია რაინდი, რომელიც გაშლილ მინდორზედ ცხენს მიაჭენებს. ჩინელ არტისტს არც ცხენი უნდა, არც მინდორი: ასეთის სცენის წარმოსადგენად არტისტი ფეხებს უტყაპუნებს ტატაკზედ და წკეპლას იქნევს, ვითომ მერანს მივაფრენო. ერთის პიესის წარმოდგენას არტისტები ხუთიდგან რვა საათამდე უნდებიან. ტყუილია, ვითომ თითო პიესას რამდენსამე დღეს და კვირას არდგენდნენ ჩინელები. თვით წარმოდგენის დროს დიდი თავისუფლებაა, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს: ზოგი ხმა-მაღლა ლაპარაკობს, ზოგი კიდევ ჩაის ან რამე საჭმელს შეექცევა. არტისტებიც ასევე იქცევიან. ხშირად არტისტი მონოლოგს შუაში სწყვეტავს, იქვე სცენაზედ სტოლთანა ჯდება და ჩაისა სვამს, როდესაც გაათავებს, მონოლოგს ხელახლა განაგრძობს.

ქალებს სცენაზედ გამოსვლა აკრძალული აქვთ. ქალების როლებს კაცები ასრულებენ, უფრო ხშირად 16—18 წლის ბავშვები. ამ ბოლოს დროს სანავთ-სადგურო ქალაქებში, იქ, სადაც ევროპიელნი სცხოვრობენ, ჩინელ ქალსაც ხშირად შეჰხვდება კაცი სცენაზედ.

ნიჭიერ არტისტის დაჯილდოვება ჩინელებმაც იციან. ვთქვათ მაყურებელს რომელისამე არტისტის თამაშობა მოეწონა. წავა იქვე ტრაქტირში, ცხელ-ცხელ ღორის თავს ან სხვა საჭმელს იყიდის და წარმოდგენის დროს თეფშით მიირთმევს სცენაზედ.

* * *

ჩინელთა დრამატიული ლიტერატურა მეტად მდიდარია. მგონი პიესათა სიმრავლით ვერც ერთის ერის ლიტერატურა ვერ შეედრება ჩინეთის ლიტერატურას. მარტო იუენის დინასტიის ბატონობის დროს დაწერილი პიესები 500 დიდ ტომს შეადგენენ. ზოგის პიესის შინაარსი ისტორიიდგან არის აღებული, ზოგისაც—თანამედროვე ცხოვრებიდგან. არის ისეთი პიესებიც, სადაც მოქმედება ჯოჯოხეთში სწარმოებს. ჩინელებს აქვთ დრამებიც, კომედიებიც და უბრალო ფარსებიც. კომედიებში უმეტეს ნაწილად სასაცილოდაა აგდებული ჩინელთა ზოგიერთი ზნე-ჩვეულება, მოხელეთა ცხოვრება, მექრთამეობა და სხვა. ეს კომედიები საუკეთესო მასალას წარმოადგენენ ჩინელთა ცხოვრების, ზნე-ხასიათის შესასწავლად.

მოგვყავს აქვე ერთის კომედიის შინაარსი, რომელსაც სახელად „იუ-შეუს გარდაქმნა“ ჰქვიან.

კომედიაში გამოყვანილია ერთი მეტად ბოროტი და მექრთამე მოსამართლე იუ-შეუ. დიდი სიმდიდრე შეიძინა ამ მოსამართლემ უკანონოდ, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი არ არის და ყველას იმას ეუბნება, ღარიბი ვარ და არაფერი არა მაქვსო. იუ-შეუს უსამართლობამ და უკანონობამ ბოლოს იმპერატორამდე მიაღწია. დანიშნეს გამოძიება, მაგრამ მეგობართა წყალობით იუ-შეუ გაამართლეს და ამის შემდეგ ბოროტი მოსამართლე მეტის გულ-მოდგინეობით შეუდგა ძარცვა-გლეჯასა და მექრთამეობას. ასე მიდიოდა დრო, რომ ერთხელ, პეკინიდგან დაბრუნებისას, მოსამართლეს გზაში ერთი განდეგილი შეჰხვდა. განდეგილმა ბოროტის კაცის დანახვისათანავე დაიძახა: „ვაი მოსამართლეს იუ-შეუს! მოახლოვდა იმის სიკვდილის საათი!“ შინ დაბრუნებისას იუ-შეუ მართლა ავად გახდა. მალე იმისი სული დემონებმა ჯოჯოხეთის ერთ-ერთ განყოფილებისაკენ გააქანეს.

მეორე მოქმედება ჯოჯოხეთში სწარმოებს. ხანგრძლივის გამოძიების შემდეგ განყოფილების უფროსმა მეტად მძიმე სასჯელი გადაუწყვიტა საწყალ იუ-შეუს სულს. მაგრამ ეს სული ეშმაკი და თვალთ მაქცი რამ იყო: ისე შეუჩნდა ჯოჯოხეთის ღმერთს, იმდენს ეხვეწა და ემუდარა, რომ ღმერთი ბოლოს დაჰპირდა, უკანვე დედამიწაზედ დაგაბრუნებო. საუბედუროდ იუ-შეუს ქვრივს თავისს ქმრის გვამი უკვე დაეწვა და ღმერთმა იმის მეტი ვერაფერი მოახერხა, რომ იუ-შეუს სული ახლად გარდაცვალებულის ყასბის ლის გვამში მოათავსა, ეს ყასაბი მეტად მახინჯი და უშნო კაცი იყო.

მესამე მოქმედება ძალიან სამასხარაოა. იუ-შეუს სული სწორედ იმ დროს შეძვრა ლის გვამში და გაცოცხლდა, როდესაც ჭირისუფალნი განსვენებულ ყასბის გვამს დასტიროდნენ. მიცვალებულის მკვდრეთით აღდგომამ, რასაკვირველია, ყველანი გააკვირვა და გაანცვიფრა. ლის ცოლი და შვილი სიხარულით მისცვივდნენ კუბოს, მაგრამ იუ-შეუმ, დაინახა-რა ყველა ეს, გაჯავრებულმა წამოიძახა: „ეს რა უბედურებაა! ჩემს საკუთარ ოთახშიაც არ მაძლევენ მოსვენებასაო“. რა იცოდა იუ-შეუს საწყალმა სულმა, რომ სხვის გვამის პატრონი შეიქმნა. იუ-შეუმ რასაკვირველია, ვერ იცნო ლის ცოლ-შვილი. მოთმინებიდგან გამოსულმა ადგომა მოინდომა, მაგრამ მაშინვე ბრაგვანი მოსძვრა ძირს: არც ის იცოდა იუ-შეუს სულმა, რომ ლისს ცალი ფეხი მოჭრილი ჰქონდა. ბოლოს ყავარჯენი მიაწოდეს და იმის შემწეობით თავის სახლისაკენ გაუდგა გზას. მაგრამ აქაც ახალი უბედურება მოელოდდა: სახლი ისე გადაეკეთებინათ, რომ ძლივს იცნო. კარები მაინც დააკაკუნა. კაკუნზედ იუ-შეუს ქვრივმა გამოიხედა. ქალმა, დაინახა რა ვიღაც უცნობი, მახინჯი და კოჭლი კაცი, დაუჭყივლა: „რა გინდა, რას მოეთრიე აქაო!“ საწყალ იუ-შეუს კინაღამ გული შეუღონდა. მალე ლის ცოლიც მოვარდა. „აქ რას აკეთებ, რატომ არ წამოეთრევი სახლშიო“, დაუწყო ახლა ამან, და ისე აირია მონასტერი, რომ იუ-შეუს სულ ერთიან დაებნა დავთრები. ბოლოს სცენაზედ განდეგილი გამოდის, რომლისგანაც ყველაფერს იტყობენ. ამით თავდება კომედია. სცენები და მონოლოგები პიესაში მეტად ცოცხლად არის დაწერილი.

ადგილის სიმცირის გამო ეხლა შეძლება არა გვაქვს სხვა უფრო სერიოზულ პიესის შინაარსი გავაცნოთ მკითხველს.

ი. ა—ძე

ბოლოვდა. ანტრაქტებში უკრავდა მუსიკის მოყვარულთა ორკესტრი ბ ნ თ. ვ. ნიკიტინის უფროსობით.

როგორც პირველს, ისე მეორე წარმოდგენაზედ მთელი დარბაზი ავჭალის აუდიტორიისა ავსებით სავსე იყო მდაბიო ხალხით, რომელნიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ბოროტის სიდედრის უთვალს მოქმედებას და მისის ახალ-გაზრდა რძალის ტანჯვას, გულის ძგერით ისმენდნენ სამწუხარო მოთხრობას ბოროტის სიდედრის გულ დვარძლიანობით გაუბედურებულ ოჯახისას. ეტყობოდა სახეზედ ნათლად ემჩნეოდა, რომ იგინი სულიერად გატაცებულნი იყვნენ წარმოდგენით, რომლითაც ატკბობდნენ უსასყიდლოდ მუშაკნი, ხალხის სიკეთედა და ბედნიერებად აღძრულნი.

ქება და დიდება ამ ხალხის გულ-შემატკივართ, რომ ესოდენ კეთილის საქმისათვის არ იშურებენ არც შრომასა, არც დროსა და მეცადინეობას და უთვალსავე ამას თვისთა მცირედ ძმათა განსწავლისა და ბედნიერებისათვის სწირავენ. სასურველია, რომ ქართული წარმოდგენებიც ასევე მწყობრად, ასევე შინაარს-შეფერებით იმართებოდეს და, რაც უფრო შესანიშნავია, ასევე ხშირად, რადგან წყურვილი გონიერ და განმანწავლელ წარმოდგენების ნახვისა ძლიერია მდაბიო ხალხში. ტფილისში ხელ-მოკლე ქართველი მდაბიო ხალხი ძლიერ ბევრია და რაც უფრო დიდია მოთხოვნილება ასეთის წარმოდგენებისა, მით უფრო გულ-მოდგინედ უნდა მოეკიდნენ ამ კეთილს საქმეს სახალხო წარმოდგენების გამმართველნი, რომელნიც აქამომდე ამ საქმეს ღირსეულად აწარმოებდნენ და, იმედია, ამიერიდგანაც თავისს გულ-მოდგინეობასა და გულ-მხურვალებას არ მოაკლებენ.

ა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალს ალექსეევს ბრილიანტებით შემკული ოქროს ხმალი ებოძა.

ოფიციალურად: სამი ეშელონი ჩვენის ჯარებისა პეკინიდგან ტიან-ძინში გადავიდა. დანარჩენი ჯარი 14 სექტემბერს გავა პეკინიდგან; პეკინში მხოლოდ საპ-ორების როტა და მეხუთე რაზმის ბატალიონი დარჩება ორის ზარბაზნით, რომ პირველმა რკინის გზის ლიანდაგი აღადგინოს, ხელმეორედ სასახლებსა და რკინის გზას გაუწიოს მფარველობა.

16 სექტემბერს გენერალი დენევიჩი თვისის შტაბით ტიან-ძინში მოვიდა; როგორც 19 სექტემბრის დამატებითი ცნობიდგანა სჩანს, გენერალის სუბბოტიჩის რაზმს ჩინეთის ჯარის ანშანჯუანის სიმაგრეზედ იერიში მიუტანია და მტერი განუდევნია. ანშანჯუანი ახლა ჩვენს ხელშია.

**ბონკონგი.** სამშუიდგან იუწყებიან: „არა ისმის-რა იმის შესახებ, რომ მეამბოხენი ამ მხრის შუა გულში იყვნენ; როგორც ჰფიქრობენ, ბრიტანიის საზღვრის ჩრდილოეთით უნდა ექიროთ მათ ასე ათი მილის მანძილზედ ორი სიმაგრე. ათასი ჯარის-კაცი გუშინ მოვიდა სამშუიში, მეორე ათასს დღეს მოელიან. 10,000 ინგლის-ინდოეთის ჯარს კიდევ გაჰგზავნიან კონკონგში. ბენგალიის ულანთა მე-16 და გონკონგის რაზმი გამოწვეულნი არიან. ჩრდილოეთიდგან გამოგზავნილი ყველა ჯარები ამ თვის გასვლამდე მოველენ აქა; როგორც ხმა დადის, მთავრობის მოხელეებს ცნობა მიუღიათ, რომ სამხრეთ პროვინციებში საზოგადო ამბოხება ნოემბერში დაიწყება.“

საფრანგეთის სავაჭრო გემი „პეიხე“ და იაპონიის სამხედრო გემი „ასახი“ მოვიდნენ.

**ვაშინგტონი.** დღეს საფრანგეთის საელჩოს მდივანს გადაეცა ფორმალური ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია ამერიკის მთავრობის შეხედულებანი საფრანგეთის ნოტის შესახებ. ჩინეთის მოძრაობის წინამძღოლთა დასჯის შესახებ მთავრობამ უკვე წინად გამოსთქვა თავისი აზრი; ამერიკის მთავრობა შესაძლებელად ვერა სცნობს, რომ მოლაპარაკების დაწყების პირობად დაიდოს ჩინეთში იარაღის შეტანის აღკრძალვა შემდეგშიაც. იმ წინადადებას, რომ დამნაშავენი სამართლიანად იქმნენ დასჯილნი და საელჩოების დასაცველად სამუდამო დარაჯნი იყოლიონ სახელმწიფოთ ჩინეთში, მთავრობა სიხარულით ეგებება, ხოლო რაც შეეხება ტაკუს სიმაგრეებს, მთავრობას არა სურს ამ საქმეში ჩაერიოს.

**პეკინი.** დღეს გამოცემულ იქმნა იმპერატორის ედიქტი, რომელშიაც ნაბრძანებია დაუყოვნებლივ სიკვდილით დასჯა კან-ისა, ჯაოჯუჯაოსი და სხვა მანდარინებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს „დიდის მუშტის“ მოძრაობაში, გადასახლება პრინცის ტუანისა კაშგარიაში საფოსტო გზებზედ სამუშავებლად და სამუდამოდ საპყრობილეში დაპატიმრება პრინცის იიხისა და გერცოგის ძეილანისა.

საფრანგეთისა რაზმი, რომელიც ლიანხუსიანშია, ხუთშაბათს წავა ფანჟოუში.

**ვაშინგტონი.** პეკინიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ ჩინეთის ის მოხელენი, რომელნიც გერმანიამ სცნო სასჯელის ღირსად, თითქმის ყველა სახელმწიფოთა ელჩებმაც დამნაშავედ სცნესო; ეს მოხელენი კონჯერის სიაშიაცა ყოფილან ჩამოთვლილნი სხვებთან ერთად, რომელთა სახელებიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის და რომელთა რიცხვიც 12-მდეაო.

**ტიან-ძინი.** გერმანელებმა ბრძანება მიიღეს, რომ პეკინ-იანცზუნის რკინის გზა დაიჭირონ; ლიანდაგის დანარჩენი ნაწილი რუსებმა დაიჭირეს; ბრიტანიის ჯარებს მხოლოდ ცინვანდაოს ნავთ-სადგურის მცველობა აქვთ მინდობილი.

**ტიან ძინი.** ცზინხაიზიანში ტყვეთ მყოფ ფრანგის მღვდლების განსათავისუფლებლად დღეს საფრანგეთის 800 ჯარის-კაცი წავიდა ექვსი ზარბაზნით.

შაბათს, პაოტინფუში 300 ფრანგი წავიდა; იგინი პეკინიდგან წასულ 400 კაცთან ერთად იმოქმედებენ. 4,000 კაცი პეკინში იქმნა დაჭერილი. პაოტინფუში ექსპედიციის გაგზავნას უთუოდ თავს დაანებებენ.

ვალდერზეე რამდენისამე დღის შემდეგ წავა პეკინში.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან, რომ კააპმიუნდენის მახლობლად, მდინარეზედ გადასვლის დროს, მოკლულ იქმნა ერთი კაციო. მდინარე კააპზედ გადასვლის დროს გუშინ მატარებელი ლიანდაგიდგან იქმნა გადაგდებული. 3 კაცი მოკვდა, ერთი აფიცერი და 15 ჯარის-კაცი დაშავდა. როდესაც გენერალი პეჯეტი 18 ჯარის-კაცითა და ორის ინჟენერ-აფიცრით მივიდა რკინის გზასთან დაწვრილებით ამბის შესატყობად, ბურებმა, რომელნიც ჩასაფრებულნი იყვნენ, სროლა დაუწყეს. მსროლელთა ბრიგადის კაპიტანმა სტუარტმა, გაიგონა რა თოფის ხმა, გაეშურა საშველად 40 ჯარის-კაცით. ზარალი მეტად დიდია. სტუარტი და ერთი ჯარის-კაცი მოკლეს: გენერალი პეჯეტი, ერთი სხვა აფიცერი და 5 ჯარის-კაცი მძიმედ დასჭრეს; ინჟენერ-აფიცერი და 10 ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს.

29 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ადმირალის ალექსეევის დეპეშა: „18 სექტემბერს, დილის 4 საათზედ, „კორეეცი“ და ხუთი ნაღმიანი გემი, კაპიტანის ბოისმანის უფროსობით, შანჰაიგუანში წავიდნენ. 19 სექტემბერს ნაღმიანი გემი № 207, რომელსაც ლეიტენანტი ბახმეტიევი უფროსობდა, გზაში გაჩერდა, რადგანაც მანქანა გაუფუჭდა, და ამ დროს ნაღმიანი გემი № 204, რომელსაც ლეიტენანტი რიხტერი უფროსობდა, დაეჯახა. საკაჩეგარო წყლით აივსო; შემდეგ გაფუჭებული ადგილი გაამაგრეს. ზღვაოსანნი და აფიცრები დიდის ღელვის გამო გემზედ № 206 გადავიდნენ. ნაღმიანი გემი № 207 ჩასძირა ნაპირიდგან 35 მილის მანძილზედ. გემი № 26 მცირედ არის გაფუჭებული. უბედურებაა ზღვაოსანთ არაფერი შემთხვევიათ, მხოლოდ სამი კაცია მსუბუქად დაჭრილი“.

**ბლაზგო.** როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, შავი ჭირი მართლა გაჰქრა; უკანასკნელი ავადმყოფი დღეს გაანთავისუფლეს. საკარანტინო სადგომებს გააუქმებენ. ის ოცი ავადმყოფი, რომელნიც საავადმყოფოში არიან, კარგადა ჰგრძნობენ თავს. უკანასკნელად შავის ჭირით ამ სამის კვირის წინად გახდა ავად ერთი კაცი.

**ტიან ძინი** ვალდერზეემ ბრძანება გასცა ექსპედიციის პაოტინფუში წასვლისა.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

30 სექტემბერს

ხოსია ლომთაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

დავით კალაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

კონსტანტინე დოლიძის, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ონისიმე ლოლუასი, რომელსაც ბოქაულის ბოროვის წინააღმდეგობა ედება ბრალად.

მიხეილ სიჭინავასი—ყაჩაღობა ბრალდება.

მარკოზ ლოლაძისა, რომელსაც თვისის შვილის კიმოთეს მოკვლა ბრალდება.

ფედოსია გიგოს ასულის ქორქაშვილისა, რომელსაც თვისი ქმრის ფარნაოზის მოკვლა ბრალდება.


# განცხადებანი

## კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ)


# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 სექტემბრისათვის 1900 წლისა.

აქტივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . . | | 10755 | 34 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . | | 100 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . | | 124 | 54 |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთარნი. | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 2076—26 | | |
| ბ) არა-უზრუნველ ყოფილნი: | 3999—95 | 6076 | 21 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . | | 3904 | 34 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . | | 255592 | 48 |
| VII. პროტესტში წასული თამასუქები . . . | | 1130 | — |
| VIII. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . | 12001—10 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. . | 39677— | | |
| გ) საქონელზედ . . . | 14977— | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. . . | 4746—25 | 71401 | 35 |
| IX. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | | 132 | 11 |
| X. მოწყობა-მომართვა . . . | | 2034 | 48 |
| XI. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) . . . | 21476—54 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) . . . | 3000— | 24476 | 54 |
| XII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . . | | 147 | 03 |
| XIII. სხვა და-სხვა დებიტორები . . . | | 283 | 95 |
| XIV. გარდასაცემი თანხა . . . | | 436 | 51 |
| XV. მიმდინარე ხარჯი . . . | | 9412 | 86 |
| ს უ ლ | | 385907 | 74 |

პასივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარა საზოგადოების 795 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან | | 827[illegible]1 | — |
| II. სათადადარიგო თანხა . . . | | 3917 | 29 |
| III. სათადარიგო თანხის $^0/_0$ იან ქაღალდების სარგებელი | | 54 | 76 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . | 87507—40 | | |
| ბ) ვადით . . . | 125112— | | |
| გ) უვადოდ . . . | 376— | 212989 | 40 |
| V. გარდასაცემი თანხა . . . | | 2267 | 09 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . | | 1194 | 09 |
| VII. სახელმწიფო 5$^0/_0$-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | | 5 | 15 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად. | | 300 | — |
| IX. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) . . . | 16075— | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) . . . | 4510—10 | 20585 | 10 |
| X. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . | | 6350 | — |
| XI. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში . . . | | 37000 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი: | | | |
| ა) 1898 წლისა . . . | 977—14 | | |
| ბ) 1899 წლისა . . . | 2315—16 | 3292 | 30 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | | 14727 | 58 |
| XIV. 1900 წლ. მოგებისა და ზარალის ანგარიში . . | | 473 | 98 |
| ს უ ლ | | 385907 | 74 |
| პასუხის-მგებლობა 795 წევრისა 10-$^0/_0$-იან შემოსატანს გარდ. . . . | | 744759 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | | 6100 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . | | 1096 | 40 |

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე